ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

20-91

დადგენილება № ---

„30 „დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის
მოსაკრებლის შემოღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 მუხლის. საქართველოს კანონის "სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ", საქართველოს კანონის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს კანონის „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ", საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის საფძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და დადგინდეს მისი განაკვეთები სახეობების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – 30 000 ლარი კვარტალში;

ბ) თითოეულ წამასალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;

გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე - 60 000 ლარი კვარტალში;

დ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშის თითოეულ სალაროზე - 15 000 ლარი კვარტალში;

ე) თითოეულ სათამაშო აპარატზე - 3 000 ლარი კვარტალში;

ვ) თითოეული კლუბის მაგიდაზე – 10 000 ლარი კვარტალში.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის N1-3 გადაწყვეტილება.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს (შემდგომში თვითმმართველობის კოდექსი) მიღებით, რომლის თანახმად, დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ახალ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან არის შესაბამისობაში მოსაყვანი. ამასთან, დღეს მოქმედი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას მიეკუთვნება ქ. თბილისში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შემოღებულია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი. სახეობებისა და განაკვეთების მიხედვით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შემოღებულია სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი სახეობებისა და განაკვეთების მიხედვით.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებსა და იგი არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ე) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი